დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108223191**

თარიღი:**15/11/2022**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და ამავეკოდექსის 86^1-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს "სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო"-ს შემადგენლობა დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს "სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო"-ს დებულება დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს შესაბამისი ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი